



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით


ცვლილებები საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“

საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 23 დეკემბრის კანონით, 2018 წლის 11 იანვრიდან ძალაში შევიდა ცვლილებები კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, მათ შორის:

კანონის მიხედვით ფართოვდება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მამიებლების მიერ ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია.

კანონის მიხედვით ასევე განისაზღვრება ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელზე დაყრდნობითაც ეროვნული ბანკი იღებს გადაწყვეტილებას კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე თანხმობის გაცემის შესახებ, მათ შორის, განისაზღვრება ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, მათ შორის, ამ კანონის მე-3 მუხლით ლიცენზირებისთვის განსაზღვრული ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

კანონის მიხედვით, იცვლება კომერციული ბანკის საკუთრების უფლებისა და აქტივების, მფლობელობისა და ჯგუფის სტრუქტურის შეზღუდვის რეჟიმი, კერძოდ, კომერციული ბანკების მიმართ არაპროფილური ინვესტიციების შეზღუდვის პოლიტიკის ფარგლებში,



კომერციულ ბანკებს კანონმდებლობითაც ეკრძალებათ პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებისმიერი ოდენობით წილის ფლობა იმ იურიდიული პირის კაპიტალში, რომელიც არ არის ფინანსური ინსტიტუტი ან მისი საქმიანობა არ არის დაკავშირებული საბანკო საქმიანობასთან ან ბანკის სოციალურ პროექტებთან. ამასთან, კომერციული ბანკი უფლებამოსილი იქნება აღნიშნული შეზღუდვის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილის არაუმეტეს 20%-ისა, თუ ბანკის წილი საწარმოში თავად ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს არ აღემატება, ხოლო ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის საფუძველზე შექმნას ან/და შეიძინოს საწარმო, რომელშიც მისი მონაწილეობა აღემატება 20%-ს.



ახალი კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“

2017 წლის 13 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ძალაში შევა 2018 წლის 7 თებერვლიდან.

კანონი შემუშავდა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საბაჟოს მიერ აღსრულების თაობაზე“ ევროპარლამენტის და საბჭოს 2013 წლის 12 ივნისის (EU) №608/2013 რეგულაციის მიხედვით და ითვალისწინებს საქართველოში დაცული ყველა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლების მფლობელების უფლებების დაცვას, აღნიშნული უფლებების დარღვევით წარმოებული ან/და კონტრაფაქციული პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის, საწყობის, თავისუფალი ზონის, რეექსპორტის და ექსპორტის სასაქონლო ოპერაციების შესაბამისად გადაადგილებისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენებით.

კანონის მოქმედება არ გავრცელდება შემდეგი ტიპის საქონელზე:

- ა) არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონელზე, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან ხელბარგში ან/და განკუთვნილია პირადი მოხმარებისათვის;
- ბ) ორიგინალ საქონელზე, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მისი გადაადგილება ხორციელდება უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე;
- გ) საქონელზე, რომელიც დამზადებულია უფლების მფლობელის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ და რომელიც წარმოებულია უფლების მფლობელსა და აღნიშნულ პირს შორის შეთანხმებულ რაოდენობაზე გადაჭარბებით.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის ახალი ბრძანება

2017 წლის 29 დეკემბრიდან ამოქმედდა დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის ბრძანება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ შესადგენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის უფლებამოსილების მქონე პირის განსაზღვრისა და ფულადი სანქციის დაკისრებისა და გადახდევინების წესის დამტკიცების შესახებ.

ბრძანება განსაზღვრავს კომერციული ბანკების მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსთვის „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სააგენტოს უფროსის სამართლებრივი აქტებით დეპოზიტორებისათვის დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ ინფორმაციის მიწოდებლობის, დეპოზიტების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებლობისა და პირველადი, რეგულარული და სპეციალური სადაზღვევო შენატანების შეუტანლობის შემთხვევაში შესადგენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას, ოქმის შენახვისა და წარმოების წესს, ასევე ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრისა და ფულადი სანქციის დაკისრებისა და გადახდევინების პროცედურას. აღნიშნული რეგულაცია ასევე განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებისა და აღსრულების პროცედურულ საკითხებს.

სასამართლო გადაწყვეტილება

თბილისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინებაში საქმეზე N38/2727-17, სასამართლოს მსჯელობის საგანი გახლდათ საგადასახადო სამართლისა და მისგან გამომდინარე ურთიერთობებში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. სასამართლომ განმარტა, რომ "მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ცრუმაგიერ პირებად აღიარება, რაც დაკავშირებულია გადასახადების ამოღებასთან."

სასამართლოს განმარტებით, ქონება, რომელზედაც მოსარჩელე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ითხოვს ყადაღის დადებას, მოპასუხის საკუთრებაა, რომელმაც შესაძლოა სასამართლო წარმოების ეტაპზე, ნებისმიერ დროს განკარგოს ქონება, მათ შორის, გაასხვისოს ან თუნდაც უფლებრივად დატვირთოს იგი, რის შედეგად ქონება უფლებრივი ნაკლის მქონე იქნება. „ასეთ შემთხვევაში, თუ გამოყენებული არ იქნება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იარსებებს იმის საშიშროება, რომ ქონება სხვა სუბიექტის საკუთრებად იქცეს, რაც მოცემულ საქმეზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.“ ქონების განკარგვის ვარაუდთან და მოსალოდნელობასთან მიმართებით, სასამართლომ შენიშნა, რომ აღნიშნული „თავად დავის საგნის შინაარსიდან გამომდინარეობს; კერძოდ, განსახილველი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ცრუმაგიერ პირად აღიარება, რაც დაკავშირებულია გადასახადების ამოღებასთან, მსგავს შემთხვევაში სარჩელისაგან თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებას სწორედ მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება წარმოადგენს, კერძოდ, ქონების მესაკუთრე, რომელიც ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ მოცემულ საქმეზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში იგი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, სავარაუდოდ ქონებას ფორმალურად სხვა პირზე გაასხვისებს (გადააფორმებს), რაც მოცემულ საქმეზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.“

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე
იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიართო კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2018 შპს დელოიტი და ტუმი. ყველა უფლება დაცულია.